ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 9

ქ. თბილისი დეკემბერი 2023 წელი

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის (სახსრების) შესაბამისად, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]'' ქვეპუნქტის საფუძველზე, დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ- „ხელშეკრულება“) –„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით დადამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4. “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ მწერალთა სახლი (ს/ნ 204595072) (შემდგომში “შემსყიდველი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან დუმბაძის სახით, იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ივ. მაჩაბლის ქუჩა №13, ელ. ფოსტა: writershouse.ge და, მეორეს მხრივ, შპს ,,ჯორჯიან მიკროსისტემსი“ (ს/კ: 202 268 517) (შემდგომში “მიმწოდებელი”),, წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ მაისურაძის სახით, მისამართი ქ.თბილისი, დ.უზნაძის N 2, ბინა 4. გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი
3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ მწერალთა სახლის მიერ მონაცემთა ბაზების დამატებითი მომსახურების (CPV72321000) შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
3.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების საძიებო სისტემა - „კოდექსის“ ინსტალაციას შემსყიდველის 1 (ერთი) კომპიუტერზე.

4. ხელშეკრულების ღირებულება
4.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 360 (სამასსამოცი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.
4.2. ერთი კომპიუტერის კოდექსის პროგრამით უზრუნველყოფის საფასური ყოველთვიურად შეადგენს 30 ლარს.

5. მხარე თაუფლება-მოვალეობანი

5.1. მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს პერიოდულად, რაც გულისხმობს პროგრამის განახლების ფაილების რეგულარულ მიწოდებას, 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.
5.3.შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ შესაბამისი "მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ მწერალთა სახლის შესაბამისი უფლებამოისილი პირი, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესყიდვის ობიექტის რაოდენობის, მიწოდების ვადებისა, ხარისხის და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს.

8. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება ხარისხიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება;

9. ანგარიშსწორება

ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ყოველთვიურად მითითებული ღირებულების შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში, ლარში უნაღდო ანგარიშსწორებით, შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტებზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალის წინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით დასხვა.
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სშესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

13.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღიურებულების 20% ოდენობით.
13.2. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
13.3. ხელშეკრულების პირობების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებთ პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.
13.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.5. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
14.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 5 დღით ადრე.
14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
14.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) თუ მიმწოდებლის მხრიდან ადგილი ექნება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
14.6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
15.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. სხვა პირობები

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა
რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ – მწერალთა სახლი (ს/ნ 204595072)	შ.პ.ს. „ჯორჯიან მიკროსისტემს“ ქ.თბილისი, დ.უზნაძის N 2, ბინა 4 ს/კ: 202 268 517 საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“ ა\ა № GE40PC0293600100008969 კოდი MIBGGE22
ქეთევან დუმბაძე დირექტორი	არჩილ მაისურაძე დირექტორი

Georgian Microsystems LLC
Digitally signed by Georgian Microsystems LLC
Date: 2023.12.25 00:03:03 +04'00'

LEPL Writers' House
Digitally signed by LEPL Writers' House
Date: 2023.12.22 20:55:58 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. თბილისი დეკემბერი 2023 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი პირ(ებ)ი ვადასტურებთ, რომ სსიპ მწერალთა სახლის მიერ შ.პ.ს. „ჯორჯიან მიკროსისტემს“ -სგან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მონაცემთა ბაზების დამატებითი მომსახურებების შესყიდვის პროცესში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ქეთევან დუმბაძე -- --/

ლია ქართლელიშვილი /----------/